საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

# 2019

## მარტი



30.04.2019
www.geostat.ge

## ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ, ᲛᲐᲠᲢᲘ 2019

წინასწარი შეფასებით, 2019 წლის მარტში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 6.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო I კვარტალის საშუალო რეალური ზრდა 4.7 პროცენტით განისაზღვრა.

### ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ, 2019 ᲬᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ (%)




2019 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა ვაჭრობის, ტრანსპორტის, უძრავი ქონებით ოპერაციებისა და მომხმარებლისათვის სხვა სახის მომსახურების გაწევის დარგებში. ასევე, ზრდა დაფიქსირდა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგში. კლება დაფიქსირდა მშენებლობის დარგში.

# საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

30.04.2019

## ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა

## მარტი 2019

### ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | წინა წლის შესაბამის თვესთან | წინა თვესთან |
|---|---|---|
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი | 103.7 | 101.0 |
| სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი | 105.4 | 101.1 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები 2019 წ. იანვარი-მარტი

| მაჩვენებელი | მლნ. აშშ დოლარი | ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან) |
|---|---|---|
| საქონლის ექსპორტი (FOB) | 826.0 | 12.8 |
| საქონლის იმპორტი (CIF) | 1 981.3 | -4.7 |
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 2 807.3 | -0.1 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობა, 2019 წელი

(მლნ. აშშ დოლარი)



## სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | მარტი |
|---|---|
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული) | 4 620 |
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | -3.5 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი) | 6 495.4 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | 12.6 |

## დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 2019 წელი (%)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2019 წელი

(მლნ. ლარი)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

## საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება, 2019 წელი

(მლნ. ლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

## საინფორმაციო ფურცელი

საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.

**საკონტაქტო პირები:**

ლევან ქარსაულიძე
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: Lkarsaulidze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge